P-ISSN 1987-7668 / E-ISSN 2720-782X
https://doi.org/10.60131/jlaw.1.2025.9295
ლიცენზია: CC BY-SA

მარინა ლონდარიძე*

გამოხატვის თავისუფლების არსი დემოკრატიულად მართულ სახელმწიფოში

სტატია ეძღვნება დემოკრატიული ქვეყნებისათვის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობასა და მის როლს, თუ რამდენად უწყობს გამოხატვის თავისუფლება ხელს ადამიანის ჩამოყალიბებასა და მის რეალიზებას. განსაზღვრულია გამოხატვის თავისუფლების არეალი ცილისწამებასთან მიმართებაში, რის შესახებაც სასამართლო გადაწყვეტილებიდან მოყვანილია მრავალი მაგალითი.

საკვანძო სიტყვებია: *გამოხატვის თავისუფლება, დემოკრატია, ცილისწამება.*

1. შესავალი

აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ნაწილია. დემოკრატია არის მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფო ძალაუფლება მოდის ხალხისგან. აშშს ყოფილმა პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლნმა დემოკრატიის შესახებ აღნიშნა: „ხალხის მმართველობა, ხალხისაგან, ხალხისთვის."[1] სწორედ, ხალხი არის ძალა, ხალხი არის „ხელისუფლების წყარო" და ხალხს გააჩნია უნარი, ჰქონდეს თავისუფალი აზრი; შექმნას ისეთი სამყარო, სადაც ადამიანი განახორციელებს ბუნებით უფლებებს, იბრძოლებს თავისუფლების, ღირსებისა და ბედნიერებისათვის. თავისუფლება ნიშნავს ადამიანის ინდივიდუალურად განვითარებას, თავისუფლების წყალობით მას შეუძლია მიიღოს გონივრული გადაწყვეტილებანი, რაც მის წინსვლასა და ბედნიერებას შეუწყობს ხელს. დემოკრატიულად მართული საზოგადოება ჩართულია ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში და ახდენს საკუთარი თავის რეალიზაციას. ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, ქვეყნები განვითარების მაღალ დონეს დემოკრატიული მართვის პროცესში აღწევენ: ხალხი ბჭობს, ხალხი განიხილავს, ხალხი იღებს გადაწყვეტილებას.

2. გამოხატვის თავისუფლება, როგორც ადამიანის ზრდის საშუალება

გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი უფლებაა, რომელიც ჯერ კიდევ ვერსალში საფრანგეთის რევოლუციის დროს 1789 წლის 26 აგვისტოს ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში იქნა შეტანილი. დეკლარაციის მე-11 მუხლში აღნიშნულია: „აზრებისა და მოსაზრებების თავისუფალი კომუნიკაცია ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი უფლებაა. თითოეულ მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად წეროს, ისაუბროს და ბეჭდოს, უფლების ბოროტად გამოყენებისას კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში პასუხისმგებელია.[2] დემოკრატიულ ქვეყნებში აზრის გამოხატვის თავისუფლება ცენზურის გარეშეა, რაც ადამიანის შინაგანი პულსის ფეთქვას უწყობს ხელს, ხოლო გამოხატვის შეზღუდვით იგი მორჩილი ხდება და, სწორედ, ამით ეცლება ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. გამოხატვის თავისუფლება ნიშნავს არა მარტო საკუთარი აზრის არსებობის უფ-

---

* სამართლის დოქტორი, წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

1 <https://www.lpb-bw.de/merkmale-demokratie> [17.04.2025].

2 <https://www.bpb.de/themen/politisches-system/abdelkratie/311350/meinungsfreiheit> [17.04.2025].

ლებას, არამედ საკუთარი შეხედულებებით ცხოვრებასა და მოქმედებას: გამოხატვის თავისუფლება არის ფუნდამეტური უფლება დემოკრატიულ სახელმწიფოში. ნებისმიერს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება და განხორციელოს თავის შესაძლებლობიდან გამომდინარე, იყოს ისეთი, როგორადაც მას მიაჩნია, მაგრამ, ბუნებრივია, იქამდე, სანამ სხვის უფლებას არ შელახავს.[3] „თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულება და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა--გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს.“[4] ზოგჯერ ძალიან რთულია საკუთარი აზრის გამოთქმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა უმრავლესობის აზრს ეწინააღმდეგები. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთეულები ქმნიან საოცრებებს, რითაც მთელი კაცობრიობა სარგებლობს. რაც დღეს უცნაურად გვეჩვენება, მომდევნო დღეს ხშირად ბუნებრივი და უმრავლესობის აზრი ხდება. გამოხატვის თავისუფლება ხელს უწყობს განსხვავებულ აზრზე დაფიქრებას, გაანალიზებას და საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მე-19 საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი მოღვაწე ჯონ სტიუარტ მილის აზრით, გამოხატვის თავისუფლება გვაძლევს საშუალებას, რომ ახალი იდეები განვავითაროთ, ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია საზოგადოების ზრდასთან. დემოკრატიული ღირებულებები ეხმარება ადამიანს იპოვოს საკუთარი მე, გახდეს შემოქმედი და გამოირჩეოდეს ინდივიდუალიზმით. გამოხატვის თავისუფლება, რომელიც უმეტესად დაკავშირებულია კრიტიკულ აზროვნებასთან, ახალისებს საზოგადოებას: ერთი ქმნის მრავალს, მრავლის აზრს კი დემოკრატიული სახელმწიფოს შენებისათვის უდიდესი სიკეთე მოაქვს. გამოხატვის თავისუფლება განვითარებისა და მთლიანად საზოგადოების წინსვლის პროცესისათვის აუცილებელი წინაპირობაა. „გამოხატვის თავისუფლება, როგორც თითოეული ადამიანის ინდივიდუალური ინტერესი, არამარტო გადაჯაჭვულია საზოგადოებრივ ინტერესთან, არამედ იმავდროულად თავად წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს. ის დემოკრატიული პროცესების აუცილებელი პირობაა.“[5] დემოკრატიული „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამნიანურ ფასეულებებს.“[6] სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ყველა სხვა უფლებათა განხორციელების წყაროა, ყველა სხვა უფლებათა რეალიზატორია, რისგანაც იბადება ჭეშმარიტება. რაც უფრო იზღუდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, მით უფრო ვშორდებით დემოკრატიულ ღირებულებებს, რომელთა უკეთესიც დღემდე კაცობრიობას არ გააჩნია.

გამოხატვის თავისუფლება, ბუნებრივია, არ გულიხმობს მხოლოდ კეთილგანწყობილ სიტყვებსა და იდეებს, შესაძლებელია, არასასიამოვნოც იყოს, რის გარეშეც ქვეყნის დემოკრატიული ზრდა შეუძლებელია. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გამოხატვა გულისხმობს შეკითხვის დასმას, ინფორმაციის, იდეის გამოხატვას; გამოხატვას ნახატით, მოქმედებით, ჩაცმულობით. დაცულია ასევე ნეგატიური გამოხატვა, რაშიც დუმი-

[3] <https://www.demokratiewebstatt.at/thema/thema-sag-deine-meinung/meinungsfreiheit-grundlage-der-demokratie> [16.05.2022].

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3 421-422 გადაწყვეტილება საქმეზე #1/3 421-422.

[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2022 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-989-2019.

[6] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ, მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, 04/06/24.

ლი და უმოქმედობა იგულისხმება."[7] დემოკრატიული სახელმწიფოები წინა პლანზე აყენებს ადამიანის უფლებებს, რომელთა შორის უპირატესია აზრის გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი დაცვა.

სახელმწიფო საზოგადოების დაკვეთით მოქმედებს, აკისრია როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური უფლებები: ხელი არ უნდა შეუშალოს პირს ამ უფლებით სარგებლობაში, პირიქით, უზრუნველყოს და წაახალისოს კიდეც... დემოკრატიული მმართველობის მქონე სახელმწიფოების უმაღლესი მიზანი საკუთარი მოქალაქეებისათვის კეთილდღეობის შექმნის სამსახურია. ქვეყნის ხელისუფლება ქმნის სამართლებრივ წესებს, რის საშუალებითაც ადამიანები დაცული არიან ან შეუძლიათ თავი დაიცვან. დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ურთიერთობა, მათი შეხვედრები მიმართულია ადამიანთა ბედნიერების შესაქმნელად არა მარტო ცალკეულ სახელმწიფოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. დემოკრატიული ქვეყნის მმართველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს, გააქტიუროს თითოეული ადამიანი და მისცეს სრული რეალიზაციის შესაძლებლობა.

3. გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი არსი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი ადამიანს უფლებას ანიჭებს, გამოხატოს საკუთარი აზრი, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია, იდეები სახელმწიფოს ჩაურევლად და სახელმწიფოს საზღვრების მიუხედავად. გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო ნორმებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლიდან გამომდინარე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დაცული სიკეთეა, ამასთანავე საქართველომ 2004 წლის 24 ივნისს მიიღო კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" (შემდგომში – სპეციალური კანონი), რომელიც განმარტავს გამოხატვის თავისუფლების არსს და ადგენს მის საზღვრებს.

სასამართლო გადაწყვეტილებებში ხშირად აზრსა და გამოხატვის თავისუფლებას იდენტურ მნიშვნელობას ანიჭებენ, მაშინ როდესაც სპეციალური კანონიდან გამომდინარე, აზრს აქვს აბსოლიტური პრივილეგია, ხოლო რაც შეეხება გამოხატვას, შეიძლება შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აზრსა და გამოხატვას სხვადასხვა ლექსიკური მნიშვნელობა გააჩნია. ადამიანს შეიძლება ნებისმიერი აზრი მოუვიდეს, რისგანაც არავინ არ არის დაზღვეული, მაგრამ, სწორედ, გამოხატული აზრის შინაარსი არის მსჯელობის საგანი, თუ რამდენად ჯდება გამოხატვის თავისუფლების საზღვრებში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლიდან გამომდინარე: „ყველას აქვს უფლება აზრი თავისუფლად გამოხატოს სიტყვით, წერილობითა და სურათების საშუალებით."[8] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აზრის პრივილეგიურებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ აბსოლიტური უფლებაა აზრის ქონა და არა აზრის გამოხატვა და მისი გავრცელება."[9] რაც შეეხება სპეციალური კანონს, ვფიქრობ, აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, უმჯობესია, ვუწოდოთ „გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონი, რადგან სიტყვაც გამოხატვის პროდუქტია.

---

[7] *გოცირიძე ე.,* გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, თბ., 2008, 69.

[8] <https://www.gesetze-im-internet.de/gg/art_5.html> [17.04.2025].

[9] *მესხიშვილი ქ.,* კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, დიფამაცია, თბ. 2020, 258.

მიუხედავად გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობისა, „არცერთი ადამიანის თავისუფლება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სხვისი თავისუფლების ხელყოფას. ამიტომ გამოხატვის თავისუფლების ზღვარიც სხვისი უფლებებია.“[10] ის არ სარგებლობს თავისთავადი უპირატესობებით რომელიმე კონსტიტუციურ სიკეთესთან მიმართებით, თუ გამოხატვის თავისუფლება რეალურ საფრთხეს შეუქმნის კანონით დაცულ უფლებებს, „გამოხატვის თავისუფლებაც შეიძლება შეიზღუდოს და ესეც დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი წესია.“[11] ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად, შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ „კანონის შესაბამისად დემოკრატიულ საზოგადოებაში უსაფრთხოების ან ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“. შეზღუდვა სახეზე გვაქვს იმ შემთხვევაშიც, როცა ვრცელდება ინფორმაცია არასწორი ფაქტების შესახებ ან უხამსი განცხადება, „რომელსაც არ აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.“[12] შეიძლება აზრის გამოხატვა შემაშფოთებელი და გამაოგნებელი იყოს, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს გარკვეული ღირებულება და მხოლოდ სხვათა უფლებებსა და დაცულ ღირებულებებს არ უნდა ხელყოფდეს. გამაოგნებელი, შეურაცხყმყოფელი ინფორმაციის გავრცელება იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ საზოგადოებისათვის გარკვეული წონა აქვს.[13] გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ შეურაცხყოფის მიყენების მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს, მას რაიმე ღირებულება უნდა გააჩნდეს. „მაშინაც კი როდესაც განცხადება უთანაბრდება შეფასებით მსჯელობას, ჩარევის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი სადავო განცხადებისათვის, რამდენადაც თვით შეფასებითი მსჯელობაც კი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე შეიძლება გადაჭარბებული იყოს.“[14]

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება უფრო ფართო მასშტაბს იძენს იმ პირებთა მიმართებით, რომლებსაც საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებაში როლის შესრულება შეუძლიათ. მათ უპირატესი თმენის ვალდებულება გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა, მოსარჩელე ფიზიკური პირია თუ საჯარო. სპეციალური კანონის მიხედვით, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხდებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.“[15] საჯარო პირის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომასთან დაკავშირებით, სპეციალური კანონის მე-13 მუხლის წინაპირობებთან ერთად უნდა არსებობდეს

[10] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2022 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-237-2022.

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 1/6/561,568.

[12] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ, 1-ლი მუხლი, „ვ“ ქვეპუნქტი, 04/06/2004.

[13] *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, დიფამაცია, თბ., 2020, 262.

[14] იქვე, 258.

[15] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ, მე-13 მუხლი, 04/06/2024.

შემდეგი პირობაც: „განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.“ [16] „საჯარო პირის შემთხვევაში მოსარჩელემ დამატებით უნდა ამტკიცოს ასევე ფაქტი იმის შესახებ, რომ ინფორმაციის გამავრცელებელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ინფორმაცია, რომელსაც იგი ავრცელებდა, მცდარი იყო.“ [17] სპეციალური კანონიდან გამომდინარე, საჯარო პირად ითვლება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.“[18] საჯარო პირს გააჩნია თმენის ვალდებულება, განსაკუთრებით პოლიტიკოსებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, „დასაშვები კრიტიკის ფარგლები ყველაზე ფართოა ხელისუფლებასა და მის წარმომადგენელთა მიმართ. აქ სასამართლო არ მოითხოვს, რომ ფაქტები აბსოლიტური სიზუსტით იყოს დამტკიცებული. საკმარისად მიიჩნევს, თუნდაც მცირედი ფაქტობრივი წინაპირობის არსებობას. „საქმეში CASTELS VS SPAIN ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ მთავრობის მოქმედებათა გაკრიტიკების უფლება წარმოადგენს არჩეული წარმომადგენლის სიტყვის თავისუფლების განუყოფელ კომპონენტს.“[19] სპეციალური კანონის მე-5 „ა“ პუნქტიდან გამომდინარე, ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია: „ა. პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით“. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მტკიცების ტვირთი როგორც ფიზიკური, ასევე საჯარო პირის შემთხვევაში შეზღუდვის ინიციატორს ეკისრება, უფრო მეტიც, თუ სარჩელი ცილისწამების შესახებ აშკარად უსაფუძვლო აღმოჩნდა, „მოპასუხეს უფლება აქვს მოითხოვოს მოსარჩელისაგან გონივრულ ფარგლებში ფულადი ანაზღაურების მიღება.“[20]

გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი დაცვა მოტივაციას უქმნის ფიზიკურ პირებს, გახდნენ სოციუმის აქტიური წევრები და იყვნენ რეალიზებულნი. საჯარო პირებს კი მეტად მოეთხოვებათ, ისმონონ კრიტიკა და პასუხისმგებლობით მოექცნენ საზოგადოებას. რადგან გამოხატვის თავისუფლების გარდა ადამიანთა სხვა უფლებებიც არსებობს და თითოეული სამართლებრივი დაცის ობიექტს წარმოადგენს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით, დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება... რაც სპეციალური კანონის კონტექსტში განიხილება. გამოხატვის თავისუფლების უფლების ბოროტად გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როცა შეფასება არასწორ ფაქტებზე არის დამყარებული, რის გამოც სახეზე გვაქვს ცილისწამება. ცილისწამება და მისით პირისათვის ზიანის მიყენება კი თავისთავად იწვევს პირის პატივისა და ღირსების შელახვას, რაც დაცვის ღირს ინტერესს წარმოადგენს.

---

[16] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ, მე-14 მუხლი, 04/06/2024.

[17] *მესხიშვილი ქ.,* კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, დიფამაცია, თბ. 2020, 254.

[18] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ, 1-ლი მუხლი, „ი“ ქვეპუნქტი, 04/06/24.

[19] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე #ას- 928-868-2017.

[20] საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ, მე-18 მუხლი, 04/06/ 2004.

4. შეფასებისა და ცილისწამების ერთმანეთისაგან გამიჯვნა სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

2004 წლამდე ცილისწამება სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედება იყო, ამჟამად მხოლოდ სამოქალაქო დავის ნაწილს წარმოადგენს. უფლებების დაცვა იმ შემთხვევაში არის საზოგადოებისათვის სიკეთის მომტანი, როცა ერთით არ იზღუდება მეორე. მართალია, გამოხატვის თავისუფლება ყველა უფლებათა არსებობის უზრუნველყოფის სათავეა, მაგრამ, ბუნებრივია, მასაც აქვს საზღვარი, რომლის გადაკვეთაც კანონით დაუშვებელია. ხშირად ისმის კითხვა, სად გადის ზღვარი? ერთი შეხედვით პასუხი მარტივია: გამოხატვის თავისუფლება არ უნდა გადაიზარდოს ცილისწამებაში, რაც გულისხმობს მცდარი ფაქტების გავრცელებას და სხვა პირისათვის ზიანის მიყენებას, მისი პატივისა და ღირსების შელახვას. თუ შეფასება ფაქტზე არის დაფუძნებული, ამ შემთხვევაში, სახეზე არ გვაქვს ცილისწმება, ხოლო არასწორი ფაქტის დაფიქსირება ან გაყალბება, მის საფუძველზე გამოხატული აზრი და ამით სხვისთვის ზიანის მიყენება ცილისწამებად მიიჩნევა, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირს აკისრებს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას. „სპეციალური კანონის განმარტებით, ცილისწამება არის მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.“ [21] რაც შეეხება ფაქტს, კანონი მისი ზოგადი დეფინიციიდან ამოდის, რომლის მიხედვითაც, ფაქტი ლათინური სიტყვაა, განმარტებულია, როგორც ნამდვილი, ჭეშმარიტი, არა გამოგონილი ამბავი, შემთხვევა, მოვლენა.[22] სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სპეციალური კანონის საფუძველზე დადგენილი და განმარტებულია, რომ მოსარჩელის ვალდებულებაა, დაადასტუროს, გამოხატვა წარმოადგენს ფაქტს თუ შეფასებას. ინფორმაციის გავრცელების შედეგად სხვა პირის უფლებების შელახვისათვის პირის პასუხისმგებლობის საკითხის შეფასებისას, პირველყოვლისა, უნდა მოხდეს შეფასებისა და ფაქტის გამიჯვნა.“[23] აზრში იგულისხმება შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, ნებისმიერი სახით შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფით ფაქტს.“ [24] შეფასება დაკავშირებულია სუბიექტთან, ხოლო ფაქტი ობიექტური გარემოებიდან გამომდინარეობს. „ხშირ შემთხვევაში აზრები და ფაქტები ერთმანეთს უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია, რაც განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით.“[25] „კვალიფიცირებისას შესაძლებელია კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამები უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და შესაბამისად მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ

---

[21] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ კანონის 1-ლი მუხლი, „ე“ , ქვეპუნქტი, 04/06/2004.

[22] <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term§d=3§t=41720> [17.04.2025].

[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2022 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-237-2022.

[24] <https://idfi.ge/public/upload/FBarticle/Freedom_of_Expression_Guidebook.pdf> [17.04.2025].

[25] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2022 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-237-2022.

სფეროში."[26] სასამართლო გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „საკასაციო პრეტენზიის შემოწმება ხდება: ვინ თქვა, რა თქვა, ვის მიმართ, რა ვითარებაში და როგორია კონკრეტულად გამოთქმული/გამოხატული ფრაზა კონტექსტის კვლევისა და შემოწმების საფუძველზე, რათა შეფასდეს და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს პირის გამოხატვის თავისუფლებით დაცული მოსაზრება."[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილების მიხედვით, „შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე."[28] ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა და აღნიშნა: „მოსარჩელე სადაოდ ხდის გამოქვეყნებულ სტატიაში გაჟღერებულ ორ წინადადებას, რომელთაგან ერთ-ერთი გადმოცემულია შემდეგი შინაარსით: ინტერპოლმა შეაჩერა ძებნა ქართველი საზოგადოების ნომერ პირველ მტერზე. მხარეებს შორის სადავო არ არის ინტერპოლის მიერ ი. გ-ძის მიმართ ძებნის შეჩერების თაობაზე გადმოცემული ინფორმაციის სისწორე, ხოლო მოსარჩელის „ნომერ პირველ მტრად" მოხსენიება არ წარმოადგენს ფაქტს, შეუძლებელია მისი რეალობის შემოწმება."[29] აქედან გამომდინარე, სასამართლომ გამოხატვა არ მიიჩნია ცილისწამებად. „საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გამონათქვამების აზრისა თუ ფაქტისადმი კუთვნილების საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია მათი წარმოთქმის მთლიანი კონტექსტის მხედველობაში მიღების გარეშე. ცალკეულ სიტყვებსა და წინადადებებს კონტექსტის გარეშე ვერ მიენიჭება მნიშვნელობა, ვინაიდან მათი განცალკავებულად განხილვა გამოიწვევს გამონათქვამების შინაარსის დაკარგვას. შინაარსს კი სიტყვებსა და წინადადებებთან შედარებით უპირატესი ძალა აქვთ."[30]

სპეციალური კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტიდან გამომდინარე, „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ."

5. დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიულად მართული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი კომპონენტი გამოხატვის თავისუფლებაა, რაც ყველა სხვა უფლების წყაროა. გამოხატვის თავისუფლება ხელს უწყობს ადამიანის ზრდის პროცესს, მის რეალიზებასა და საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბებას. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია პირის პატივისა და ღირსების დაცვა. ამ მხრივ, კანონმდებლის მიერ ყურადღება ექცევა შეფასებისა

[26] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2022 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-797-2022.

[27] იქვე.

[28] *Linges v.* Austria, 1986, მითითებულია: *მესხიშვილი ქ.,* კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, დიფამაცია, თბ., 2020, 259

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2022 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-237-2022.

[30] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2021 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-547-2020.

და ფაქტის გამიჯვნას. თუ შეფასება არასწორ ფაქტებზე დაყრდნობით ხდება და ამავე დროს პირისათვის შეურაცხმყოფელია, ბუნებრივია, მისი პატივი და ღირსება დაუმსახურებლად ილახება, რაც ასევე კონსტიტუციით დაცული უფლებაა. დემოკრატიული ქვეყნების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იპოვოს შუალედი, რითაც დაცული იქნება როგორც გამოხატვის თავისუფლება, ასევე პირის პატივი და ღირსება, რომლის დასაცავადაც გამოხატვის თავისუფლებაა საჭირო.

ბიბლიოგრაფია:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 10/12/1948.
2. საქართველოს კონსტიტუცია 24/08/1995.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 26/06/1997.
4. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ 04/06/2004.
5. *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, თბ., 2008, 69.
6. *მესხიშვილი ქ.,* კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, დიფამაცია, თბ. 2020, 258, 262, 254.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2022 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-797-2022.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2022 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-989-2019.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2022 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე # ას-237-2022.
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე #-ას- 928-868-2017.
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 1/6/561,568.
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N 1/3 421-422 გადაწყვეტილება საქმეზე #1/3 421-422.
13. <https://www.lpb-bw.de/merkmale-demokratie> [17.04.2025].
14. <https://www.bpb.de/themen/politisches-system/abdelkratie/311350/meinungsfreiheit> [17.04.2025].
15. <https://www.demokratiewebstatt.at/thema/thema-sag-deine-meinung/meinungsfreiheit-grundlage-der-demokratie> [17.04.2025].
16. <https://www.gesetze-im-internet.de/gg/art_5.html> [17.04.2025].
17. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term§d=3§t=41720> [17.04.2025].
18. <https://idfi.ge/public/upload/FBarticle/Freedom_of_Expression_Guidebook.pdf> [17.04.2025].